სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ალ. ყაზბეგის გამზ. N12
0160, თბილისი, საქართველო
+995 32 2 370 508
info@georoad.ge

13 ოქტომბერი 2025

MOI-RD N 2-06/14133

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს

გაცნობებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ დაგეგმილია საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ 17-კმ 28 მონაკვეთის (თბილისი-ნატახტარი) მოდერნიზაციის პროექტი.

დაგეგმილი საქმიანობა განეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ პირველი დანართის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომში- ,,გზშ“) პროცედურას.

გამომდინარე იქიდან, რომ გზშ-ს პირველი ეტაპი ითვალისწინებს სკოპინგის პროცედურას, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლის გათვალისწინებით, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ ზემოაღნიშნული პროექტის შესაბამის დოკუმენტაციას.

დანართი:

- საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ 17-კმ 28 მონაკვეთის (თბილისი-ნატახტარი) მოდერნიზაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში - ერთი ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
- დანართი 1 - დაგეგმილი პროექტის განხორციელების ტერიტორიის GIS კოორდინატები Shp ფაილების სახით - ელ ვერსია;
- დანართი 2 - წერილები - ნაბეჭდი ვერსია;
- დანართი 3 - გეოლოგიური ანგარიში - ნაბეჭდი ვერსია;
- დანართი 4 - არქეოლოგიური ანგარიში - ნაბეჭდი ვერსია;
- დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია სრულად - 1 CD დისკი.

პატივისცემით,

გიორგი ორმოცაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე